

მონიტორინგის მთავარი მიზნები

7-20 ივლისის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

- სიძულვილის ენა ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ (გიორგი შენგელაია, რეჟისორი), ასევე უკრაინაში განვითარებული მოვლენების კონტექსტში უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლებისა და ე.წ. "მასონურ-სიონისტური" რეჟიმის მიმართ (მაყურებელი, ობიექტივი) იყო გამოხატული;
- ისლამოფობიურ და თურქოფობიურ განცხადებებს კვლავ პატრიოტთა ალიანსი

მიმართავდა (დავით თარხან-მოურავი);

- ქსენოფობიური განცხადებები სოციალურ პრობლემებთან მიმართებით, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიწის უცხოელებზე გასხვისების მორატორიუმის გაუქმების გამო იჩენდა თავს და პოლიტიკურ სპექტრთან ერთად ასეთ რიტორიკას მედიის და საზოგადოების წარმომადგენლებიც მიმართავდნენ;

გაგრძელება გვ. 2

20, 7-20 ივლისი



არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება ტელეკომპანია GDS-ის სექსისტურ სიუჟეტთან დაკავშირებით

14 ივლისი, 2014

გვინდა გამოვხატოთ ტელეკომპანია GDS-ის ეთერით 9 ივლისს გასულ გადაცემა "ბინა 18"-ის ფრაგმენტს, რომელიც ქალის სხეულის დამამცირებელ ვიზუალიზაციას შეიცავდა. ვთვლით, რომ გადაცემის ეს მონაკვეთი ქალთა და მამაკაცთა როლის დიად სექსის-ტურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს და საზოგადოებაში არსებული მანკიერი სტერეოტიპების კიდევ უფრო გაღრმავებას უწყობს ხელს, რაც სათანადო შეფასებას საჭიროებს.



მართალია, გამოხატვის თავისუფლება ნებისმიერი იდეის გავრცელების უფლებას გულისხმობს, მაგრამ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მყარი საკანონმდებლო გარანტიები არ ათავისუფლებს მედიას ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისგან, რომელიც ამ პროფესიას მისი ფუნქციიდან გამომდინარე აკისრია.

გაგრძელება გვ. 10

შინაარსი

სიძულვილის ენა	2
ისლამოფობია/თურქოფობია	2
ქსენოფობია	3
მიწის უცხოელებზე გასხვისების თემა	3-4
რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	4-5
ანტიდასავლური განწყობები	5-8
სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია	8-10
გენდერული თემატიკა	10

სიკულვილის ენა

რეზონანსი, 9 ივლისი

გიორგი შენგელაია,

რეჟისორი: „ნაციონალურ მოძრაობაში“

ფიზიოლოგიურად და გამომეტყველებით ყველა ერთნაირად ბოროტია.“

ასავალ-დასავალი, 14-20 ივლისი

გიორგი შენგელაია,

რეჟისორი: "ბევრს ეგენი პოლიტიკურ პრობლემად მიაჩნია, მე კი ნაცებს ვუყურებ, როგორც ბიოლოგიურ პრობლემას!"

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 20 ივლისი

თელმეაყურაძე [სატელეფონო ჩართვა]:

"...ეს ფაშისტები, ეს პირწავარდნილი ნაციონალებმა უკრაინის ხელისუფლებაში მოიყვანეს ამერიკისა და ევროპის თანადგომით პირწავარდნილი ფაშისტები, სვასტიკიანი სხვათა შორის, რომელმაც ჩამოაყალიბა სს-ელების ანალოგიური ბატალიონები. ხოდა ჩვენ ქართველი, ქართველი ერთი დარჩენილები ვართ

პირისპირ მარტოკა... ამხელა მასონურ-სიონისტურ რეჟიმთან, ფაშისტურ რეჟიმთან. გზა არის ერთადერთი... ეს არის ჩვენი მართლმადიდებელი ერების გაერთიანება".

http://www.myvideo.ge/?video_id=2380802



ღამით თარხან-მოურავი,

პატრიოტა

ალიანსი: „...აზიზიეს მეჩეთის სახით ეს იყო სიბოროტე რელიგიურ ნილაბში.“

ისლამოფობია/თურქოფობია

კავკასია, ბარიერი 14 ივლისი

ღამით თარხან-მოურავი,

პატრიოტა ალიანსი: „...აზიზიეს

მეჩეთის სახით ეს იყო სიბოროტე რელიგიურ ნილაბში. ეს იყო თურქეთის სადაზვერვო ცენტრი, თურქეთის ისეთი საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ადამიანს მთლიანად ტვინს შეუბრუნებდა...“

შებრძანდით თურქულ საიტებზე და იქ წაიკითხავთ, რომ თურმე აჭარლები ქართველები არ არიან და თურქები არიან... იქ წაიკითხავთ, რომ ისინი არიან თურქები, რომ საქართველო ყოველთვის იყო თურქეთი...“

რელიგიურ განათლებას იღებენ [თურქეთში] და შემდეგ ჩამოდიან ისეთი აზრებით, რომ თურქეთზე დიდი მეგობარი საქართველოს არ ჰყოლია... ახლა, თუ მომაცოლებთ მე, რომ ათასი წლის განმავლობაში წელიწადში ორასზე მეტი ახალგაზრდა ბიჭი და გოგო ხარკად

მიჰყავდა თურქეთს და თუ გინდათ, ომებს ჩამოგიტვლით, ამ ომებში რამდენი სისხლი დაიღვარა..“

ძალიან უარყოფითია ჩემი აზრი [მაჰმადიანი მესხების მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით]. მე ვთვლი, რომ მიხეილ სააკაშვილი ცდილობდა, მიეყიდა აჭარა თურქეთისთვის, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი თურქი მოქალაქე საქართველოს მოქალაქედ ექცია იმ მიზეზით, რაც ავანტიურაა ჩემი აზრით, რომ 2021 წელს ყარსის ხელშეკრულებით მოითხოვონ ახალი რეფერენდუმი.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2376303

ქსენოფობია

ობიექტივი, ღამის სტუდია, 18 ივლისი

ჯონდი ბალათურია, ბურჯანძე-ერთიანი ოპოზიცია:

„სინგაპურიზაცია ნიშნავს, რომ ქართველები არ ვიქნებით ამ მიწა-წყლის პატრონები. უკვე სხვა იქნება, სხვა ეთნოსი იქნება. სავარაუდოდ, ნაწილის - თურქი, ნაწილის ჩინელი, ნაწილის-ინდოელი.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2381489

ობიექტივი, ღამის სტუდია, 18 ივლისი

ჯონდი ბალათურია, ბურჯანძე-ერთიანი ოპოზიცია:

„იმ ადგილს სიცარიელედ არავინ არ დატოვებს. იქ დასახლდება ჩინელი, თურქი და ინდოელი, რომელიც ჩამოდის, ფული აქვს, რომელიც იმ გლეხის მიწა-წყალზე თავის სახლს ააშენებს, რომელიც ტყეს და მდინარეს და მინდორ-ველს დაეპატრონება და ჩვენი გაჭირვებული გლეხისგან განსხვავებით, მცირე

საწარმოეს შექმნის და მას მისცემენ მისი ყველის და კარაქის გაყიდვის უფლებას, ოღონდ უფრო ძვირად.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2381433

პაპკასია, სამხტრი, 18 ივლისი

ირაკლი მაჭავარიანი: "ვიღაცა გარეწარი ჩამოდის საიდანღაც... უკრაინელ კი არა, ტილიან უკრაინელ, ამერიკის მოხელეებს არ ვაბედინებდი იმას, რომ ვინმეს ჭკუა ესწავლებინა ჩემთვის..."

http://www.myvideo.ge/?video_id=2379636

ობიექტივი, ღამის სტუდია, 20 ივლისი

ტილემეაყურეაშვილი: "...ომი მიდის, გენოციდი მიდის ქართველი ერის. როგორმე გაიყაროს ქართველი ერი საქართველოდან, დამკვიდრდეს აქ ჩინელი, არაბი ყველას ჩემი თავი ენაცვალოს, მაგრამ ჯერ ჩემი ქართველი მინდა მე, ჩემს ქართველს მინდა ვენაცვალო.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2380773



ჯონდი ბალათურია, ბურჯანძე-ერთიანი ოპოზიცია:

„სინგაპურიზაცია ნიშნავს, რომ ქართველები არ ვიქნებით ამ მიწა-წყლის პატრონები. უკვე სხვა იქნება, სხვა ეთნოსი იქნება. სავარაუდოდ, ნაწილის - თურქი, ნაწილის ჩინელი, ნაწილის-ინდოელი.“

მიწის უცხოელთაზე გასხვისების თემა

რეპორტიორი, 8 ივლისი

ლაშა ტუღუში, გაზეთ "რეზონანსის" რედაქტორი: „ეს გადაწყვეტილება [საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გასხვისებაზე დაწესებული მორატორიუმი გაუქმდა] ფართო თვალსაზრისით, არ არის ჩვენთვის სასარგებლო. მეტსაც გეტყვით, ეს საზიანო!

მიწის საკითხში არსებული უკონტროლობა, არ არის კარგი. 2007 წელს, ამ საკითხთან დაკავშირებით, ყოფილმა ხელისუფლებამაც სცადა მიეღო გარკვეული გადაწყვეტილებები, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ, მაშინ ის გადაწყვეტილებებიც გააუქმა. საკონსტიტუციო სასამართლო, ანტიეროვნული პოლიტიკის ფუძემდებლად იქცა!“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=32491>

აღია 11-14 ივლისი

ელიზბარ ჯავახიძე, სახალხო კრება: „... ეს მიწის კანონი და ანტიდისკრიმინაციული კანონიც შემთხვევითი არაა.“

გაგრძელება გვ. 4

მიწის უცხოელზემ გასსვისების თემა

ქართველ გლეხს ისედაც მცირემიწიანს, რომ აიძულებ მიწა გაყიდოს, ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელს სპობ. მერე მიტევ სულიერად მას მერე, რაც ფიზიკურად მართმევე ყველაფერს...

მეორე არის „გამჭვირვალე“ არასამთავრობო გიგაურის თავკაცობით. მისი განცხადებით განხორციელდა უდიდესი მტრობა ქართული მიწების გაყიდვის შეჩერების გამო. მეტი მოლალატეობა ქვეყნის წინაშე გაგონილა?"

GEWORLD.GE, 16 ივლისი

აკაკი ასათიანი, ქართველ ტრადიციონალისტა კავშირი: “სულ ახლახან მორატორიუმი რომ მოხსნეს უცხოელებზე მიწის მიყიდვაზე, ეს გამოიწვევს საშინელ შედეგს - ყველაფერს ისინი იყიდინან; უვიზო მიმოსვლა თუ იქნება ევროკავშირთან, ჩათვალეთ, რომ საქართველოში ქართველი სანთლით საქმეგარი გახდება... მოსახლეობას გარეკავენ, მიწა დარჩებათ უცხოელებს. მტერი რომ შემოდიოდა ხოლმე, ის სხვას კი არაფერს აკეთებდა აქ...”

<http://geworld.ge/View.php?ArtId=6052>

ასავალ დასავალი, 7-13 ივლისი

მერაბ შათირიშვილი, „ქართული სინამდვილე - ერისკაცთა სათათბირო“:

„წარმოიდგინეთ, კახელი კაცი კახეთში მიწას ვერ ყიდულობს და იძულებულია, ინდოელს იჯარის ფული უხადოს!

ასეთი ანტიქართული მიდგომებით თუ გვინდა ევროკავშირში შესვლა, მაშინ ჩავაბაროთ ვინმე გადამთიელს ეს ქვეყანა და ჩვენ დავიფანტოთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში კურტნის მუშებად! ისედაც გარბიან ქართველები და ისედაც იცლება საქართველო!“

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

კავკასია, სპექტრი, 18 ივლისი

ირაკლი მაჭავარიანი:

"ხალხი (ალბანელები) რომელიც, შუაგულ ევროპაში ცხოვრობს და მოახერხეს ამას დიდი ნიჭი უნდოდა, რომ ისლამი მიეღოთ, ე.ი. შუაგულ ევროპაში... ჩვენ სადა ვართ აგერ აქა და ვისით გარშემორტყმული და ჩვენ შევინარჩუნეთ აქ რჯულიც და კაცობაც და ნამუსიც და სინდისიც, ნუ

შეიძლება იდეურ მდგომარეობაში არა, მაგრამ ალბანელებთან არ ვართ შესადარებელი, ხო, არ მინდა არავის შეურაცხყოფა მივაყენო." http://www.myvideo.ge/?video_id=2379570

ალია, 9 ივლისი

გაზეთი "ალია" სააგენტო bolnisi.ge-ზე დაყრდნობით ავრცელებს ნიუპოსტის ინფორმაციას,

რომელიც ბოლნისში ქრისტიანულ-პროტესტანტულ-ევანგელისტურ სამლოცველო სახლში ბავშვთა ბანაკის გახსნასთან დაკავშირებით მართლმადიდებელი ეკლესიის პროტესტს შეეხება. ჟურნალისტის მიერ მომზადებულ ტექსტში ევანგელისტურ-ბაპტისტური კონფესია

გაგრძელება გვ. 5

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

დისკრიმინაციულად "სექტად" არის მოხსენებული: "დაარიგეს ეპარქიის მიერ დაბეჭდილი ფლაერები, სადაც ევანგელისტურ-ბაპტისტთა სექტის მოკლე ისტორიაა ასახული".

ასავალ დასავალი,
7-13 ივლისი

მერაბ შათირიშვილი,
„ქართული სინამდვილე - ერისკაცთა სათათბირო“:
... "იეღოველებს რა უფლება აქვთ, თავიანთი

სექტანტური ჟურნალები მეგრულად და სვანურად თარგმნონ?! როგორ შეიძლება სახელმწიფო ამაზე დუმდეს?! ...ევროკავშირთან ასოცირება იმიტომ თუ უნდა გვიხაროდეს, რომ საქართველოში სექტებმა თავიანთ ჭკუაზე იბოგინონ და ქართული სახელმწიფოს ძირგამომთხრელი საქმიანობა აწარმოონ, მაშინ ეს სასიხარულო და საზეიმო კი არ არის, ეს

არის ტრაგედია!“

ასავალ დასავალი,
7-13 ივლისი

დიტო ჩუბინიძე,
ჟურნალისტი: „ლომაიამ და შაშკინმა თავის დროზე განათლების სამინისტრო ათასი ჯურის ღვთისმგმობელი სექტანტებით გაავსეს და ამ ადამიანებს მართლმადიდებლობის მტრობა აერთიანებთ...“

ანტიდასავლური განწყობები

ალია, 11-14 ივლისი

მლიზბარ ჯავამიძე, სახალხო კრება: „მსოფლიო პოლიტიკაში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ დღეს ერის ექსპანსია ხდება არა მახვილითა და ცეცხლით, არამედ ეკონომიკით, ფულითა და ცნობიერების შტურმით. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ ამერიკასა და ინგლისში შეიქმნა „ტვინის გამორეცხვის“ ინსტიტუტი. ეს არის უზარმაზარი ფინანსური მანქანა, ამაში ჩართულნი არიან ჩვენი ტელევიზიები და არასამთავრობოები. ამერიკის დადგენილებაც არსებობს ამაზე, რომ როგორმე შესუსტდეს ქვეყნის ხელისუფლება და გაძლიერდნენ არასამთავრობოები... ამერიკელმა იდეოლოგებმა გამოაცხადეს, რომ დაამარცხეს საბჭოთა კავშირი. ახლა დარჩათ მართლმადიდებლობა.“

ალია, 11-14 ივლისი

ლაშა ამირეჯიბი, სახალხო კრება: „ქალბატონმა ემტონმა არ იცის, რას ნიშნავს „ნაციონალური ცოცხი ტრ...ში, მას ეს გამოეცადა და ეგრძნო ასე არ ილაპარაკებდა. განცხადება ბევრი იქნება ევროპიდან, მაგათ მეტი საქმე არ აქვთ, ახლა მთავარი ის არის ხელისუფლებას არ შეეშინდეს. ხშირად ჩვენს ხელისუფლებას ევროპელებისა და ამერიკელების განცხადებები აშინებს... ყველა სიბინძურე მოდის მაგათგან რომ არა ევროპელები და ამერიკელები, „ნაციონალები“ ამდენს ვერ გაბედავდნენ.“

GEWORLD.GE, 9 ივლისი

დავით ლასურაშვილი, დეკანოზი: „დღეს ცდილობენ, გაცვეთილ ფრაზად წარმოაჩინონ, რომ მიწის ყოველი გოჯი გაპოხილია ქართული სისხლით, მაგრამ

ანტიდასავლური განწყობები

ეს რეალობაა. უცხოეთის გავლენით სხვაგვარად მომართული ადამიანების გონება ამას ვერ ეგუება... ჯო ბაიდენმა მართლაც თქვა, რომ მას ჩვენი კულტურა არ აინტერესებს და გეებისა და ლესბოსელების დაცვა ეროვნულ კულტურაზე მაღლა უნდა დავაყენოთ... ასე გახრწნილი ადამიანები ვერც საკუთარ კულტურას დაიცავენ, ვერც ტრადიციებს და მათთვის ღირებული აღარაფერი იქნება. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას სასულიერო პირები ვამბოდით, რომ ამ კანონის შემდეგ ქართული და ქრისტიანული კანონები იქნება უარყოფილი, იმავეს ვიტყვით დღესაც. საქართველოს მოსახლეობა აუცილებლად დადგება იმ კრიტიკული და გულსაკლავი მოვლენის წინაშე, რომელსაც უცხოელის მონობა ჰქვია.“ <http://geworld.ge/View.php?ArtId=6035>

ალია, 10 ივლისი

ლევან ჩაჩუა,
პოლიტკატიმრის
სტატუსით

გათავისუფლებული პირი:
"მას ["ქართული ოცნება"] და „ნაციონალურ მოძრაობას“ ერთი და იგივე თავები აკონტროლებენ

უცხოეთიდან... ეკლესიის ისტორია ამბობს, თუ გინდა საზოგადოება აკონტროლო და მართო, ის ჯერ უნდა გარყვნა, ფესვებს მოაცილო. ყველაზე დიდი დამცველი არის ეკლესია, ამიტომ არის ასეთი გააფთრებული ბრძოლა მის წინააღმდეგ. ეს დირიჟორები არიან მსოფლიო ელიტის მმართველები, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში სასურველ ხელისუფლებებს ლობირებენ, აწყობენ გადატრიალებებს, ყიდულობენ სახელმწიფო პირებს... საბჭოთა კავშირის დროს რუსეთის რესპუბლიკა ვიყავით ახლა ვიმართებით ამერიკის საელჩოდან.“

GEWORLD.GE,
16 ივლისი

საქართველო და
მსოფლიო: „ასე

ხარხარებდნენ აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ექსმინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი (რომლებსაც ედუარ შევარდნაძე მეგობრებად თვლიდა) და მისი მეუღლე ბარბარა ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვის ცერემონიაზე.

...სწორედ ასეთია დასავლეთის დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველების მიმართ. ისინი ხომ ჩვენ თანატოლ, სრულფასოვან ადამიანებად არ გვთვლიან და მხოლოდ თავიანთი მერკანტილური ზრახვების განსახორციელებლად ვჭირდებით!..“ <http://geworld.ge/View.php?ArtId=6047>

ალია, 9 ივლისი

ნინო სამხარაძე,
ჟურნალისტი:

„დასავლეთის პოლიტიკოსების რა ნაწილია „ნაციონალების“ ბედით დაინტერესებული? ვინ არის თავისი ქვეყნიდან გამოგდებული ფილიპ დიმიტროვი, რომელიც ხელისუფლებას კატეგორიულად მოუწოდებს, მის მიერ გაკეთებული განცხადება გაითვალისწინონ?.. ... ამერიკულ პოლიტიკურ კლასიფიკაციაში არსებობს სამი ტიპის ქვეყნები: ჩვენნაირ ქვეყანას ემახიან მესამე სამყაროს ქვეყანას. ჩვენ გვიყურებენ იცით როგორ? ამ ქვეყანას თუ ყური არ ავუწიეთ, ისე ჭკუას ვერ ისწავლიან.“

გაგრძელება გვ. 7

ანტიდასავლური განწყობები

კპირის ქრონიკა, 7-13 ივლისი

ბიორები ფოფაკამ,
ჟურნალისტი:

„დიმიტროვი არის ევროკავშირის სირცხვილი!.. დიმიტროვს ურჩევნია, გაჩუმდეს და ხშირად ის გაიხსენოს, საკუთარი სამშობლოდან რატომ გამოაძევეს.“

კპირის ქრონიკა, 7-13 ივლისი

ბიორები ჯიქიაშვილი,
ჟურნალისტი:

„ასოცირების შეთანხმებით სახელმწიფომ პირდაპირ ვალდებულებად იკისრა იმ პრაქტიკის გაზიარება, რაც არა თუ ქართველი ხალხისთვის არაა მისაღები, თვით ევროპისთვისაც კი უკიდურესად შემაშფოთებელი და გამაღიზიანებელია... ეს ეხება იგივე სექსუალური უმცირესობების უფლებების გაზრდას და განსაკუთრებით იუვენალური იუსტიციის კუთხით შემოღებულ ახალ რეგულაციებს...
...ეს ადამიანი [ჯო ბაიდენი] ერთ-ერთი უპირველესია იმ დასავლელ მაღალჩინოსნებს შორის, რომლებიც მზად არიან, სააკაშვილის გადასარჩენად მთელი საქართველო გაწირონ... ამ ადამიანის განცხადება სექსუალური

უმცირესობების უფლებების გაზრდასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, საქართველოზე აისხება.

...დიახ, თუკი ამერიკამ საბოლოოდ განიზრახა, რომ მესაჯდომეები დედამიწის ნებისმიერ წერტილში განსაკუთრებული პრივილეგიებით უნდა სარგებლობდნენ, ამ განზრახვას აისრულებს კიდევ. საქართველო კი, დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთი უპირველესი იქნება მათ სამიზნეებს შორის (როგორც საცდელ ლაბორატორიას მაქსიმალურად გამოგვიყენებენ სხვადასხვა ექსპერიმენტებისათვის).

კპირის ქრონიკა,
14-20 ივლისი

ბიორები ჯიქიაშვილი,
ჟურნალისტი:

„ევროპულ საზოგადოებაში ყველაფერი მოსულა, მეგობრებო, დასმენაც, ჩაშვებაც და თუ „საჭირო“ გახდა, მამაობის წინააღმდეგ საქმის აღძვრაც [არასამთავრობოების განცხადების შესახებ, რომელიც სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის კანონსაწინააღმდეგო ხასიათზე მიუთითებს],

ამბიონზე მავანთათვის მიუღებელი ქადაგების გამო... სანამდე შეიძლება მოითმინოს საზოგადოებამ „ლიბერასტ-უფლებადამცველთა“ პარპაში და რა შემთხვევაში შეიძლება აფეთქდეს ხალხი ამ ბნელი ძალების ერთხელ და სამუდამოდ აღსაკვეთად...“

ასავალ დასავალი,
7-13 ივლისი

ზაზა ღავითაია,
ჟურნალისტი:


„საქართველოში კვლავაც არ წყდება ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა! კვლავაც აქტუალურია ის ყბადაღებული, ევროპულ თარგზე მოჭრილი „ანტიდისკრიმინაციული კანონი“! ზოგიერთი ლიბერასტი კვლავაც იმ სულელურ დევიზს გაიმახის, უცნაურად ყელმოღერებული: „მე ვარ ქართველი, ესე იგი, ვარ ევროპელი!“
....რა თქმა უნდა ზვიადი [გამსახურდია] არასოდეს გაყოფდა და გაანიავებდა ქართულ მიწას! და, რა თქმა უნდა, ზვიადი არასოდეს იტყოდა: „მე ვარ ქართველი, მამასადამე,

ანტიდასავლური განწყობები

ვარ ევროპელი!...“
იმამიც დარწმუნებული
ბრძანდებოდეთ, რომ
ზვიადი საქართველოში
არ დაუშვებდა
უცხოეთიდან მართული
და ნასყიდი ასო-კრატის
პარპაშს!
აი, ამიტომაც მოკლეს
ზვიად გამსახურდია!"

**ასავალ დასავალი,
14-20 ივლისი**

**შალაგა საჭაპურიძე,
ადვოკატი:** "ევროპას
მოუკვდა პატრონი!
დაეტიოს, სადაც არის, ის
თხსავით ქალი რომ
დადის, ქეთრინ ემტონია
თუ ჯანდაბა და თავის
ევროპას მიხედოს!
დაანგრის აგერ უკრაინა
და რა უბედურებას
ატრიალებენ. თავის საქმეს
მიხედონ!"



**გიორგი გაბაღაგა,
პოლიტპატიმრის
სტატუსით**

**გათავისუფლებული
პირი:** "მამაოს პირად
ცხოვრებაში ჩარევა, მისი
პროვოცირება და
მდგომარეობიდან
გამოყვანა, მერე ამის
გადაღება და
გავრცელება შეიძლება
თურმე და
პედერასტების
ორგიების გადაღება-
გავრცელება არ
შეიძლება?"

**ობიექტივი, ღამის
სტუდია, 18 ივლისი**

ნინო რატიშვილი,

წამყვანი: „ბილდტის
გამონათქვამი ყველა
კარგად გვახსოვს,
საქართველო უნდა ვინმეს
თუ არ უნდა, არის
მართლმადიდებლური
ქვეყანა და როდესაც
მართლმადიდებლებს
აყენებენ შეურაცხყოფას,
შემდეგ აქ ჩამოდიან ასეთი
სიტყვების პატრონები და
აქ ზარზემით ხვდებიან
და დემოკრატის მანტიას
აცმევენ და თვალეში
შესციციანებენ..“

[http://www.myvideo.ge/?
video_id=2381478](http://www.myvideo.ge/?video_id=2381478)

**ობიექტივი, ღამის
სტუდია, 18 ივლისი**

ტელემაყურებელი:

"ყოველთვის

დალატობდნენ
მართლმადიდებლურად
მონათლულ ხალხს და
ყოველთვის იყვნენ მათი
მტრები და ქართველების
მტრებიც იყვნენ ეს
ევრეთწოდებული
ყბადაღებული ევროპა,
რა."

ტელემაყურებელი:

„არ ეკითხებიან აფხაზეთს,
არ ეკითხებიან
სამაჩაბლოს, ანუ სამხრეთ
ოსეთს, უნდათ თუ არა ეს
ასოცირება,
ანტიდისკრიმინაციული
კანონი და საითკენ
მიექანებიან ამერიკის
დაკვეთით, ოღონდ
რუსეთი გაალიზიანონ,
მონებად ქვეული
ადამიანები."

[http://www.myvideo.ge/?
video_id=2381460](http://www.myvideo.ge/?video_id=2381460)

[http://www.myvideo.ge/?
video_id=2381470](http://www.myvideo.ge/?video_id=2381470)

[http://www.myvideo.ge/?
video_id=2381470](http://www.myvideo.ge/?video_id=2381470)

სამსუაღლური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

ასავალ დასავალი, 14-20 ივლისი

თამაზ მაშაქი, თბილისი ყოფილი მერი: "ზვიადი დაამხეს ამ ნამირლებმა და
დალუპეს ქვეყანა, - ჰომოსექსუალები დაეპატრონენ საქართველოს! ნახეთ „პირველი
არხის“ არქივში, რა უთხრა კიტოვანმა ქვანიას პარლამენტის სხდომაზე: ბიჭო,
ზვიადი, რომ დავამხე, მადლობა მითხარი, თორემ ხელისუფლებაში, რომ
დარჩენილიყო, ახლა შენ და შენისთანები #8 კამერაში იჯდებოდით მამედასთან
ერთადო!"

ალია, 9 ივლისი

გიორგი გაბაღაგა, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი: „აი, მე
რომ გამოვიჭირო ვინმე პედერასტი და მისი უსაქციელობა გადავიღო, მერე ეს რომ
გავავრცელო, ამისთვის დამსჯიან... მამაოს პირად ცხოვრებაში ჩარევა, მისი
პროვოცირება და მდგომარეობიდან გამოყვანა, მერე ამის გადაღება და გავრცელება
შეიძლება თურმე და პედერასტების ორგიების გადაღება-გავრცელება არ შეიძლება?"

გაგრძელება გვ. 9

სემსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

... ქართული ჯიშის, გენიის განადგურება მიდის მიზანმიმართულად. გარდა ამ უბედურებებისა, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მართლა გადაგვარების გზაზეა, ამ ლიბერასტულმა იდეებმა გამოათავყვანა ეს ხალხი.“

ალია, 11-14 ივლისი

ელიზბარ ჯაველიძე,

სახალხო კრება: „ხელი მოვაწერეთ ასოცირების ხელშეკრულებას, იქაც არის ეს ხაზი გამოკვეთილი, რომ თურმე ისე უნდა აღვზარდოთ შვილები ოჯახში 14 წლის ასაკიდან უნდა გადაწყვიტოს, რა სქესის არის. შვილი უნდა აღიქვამდეს ერთსქესიან ქორწინებას და ეს ავადმყოფობა ნორმალურად აღიქვას.“
... 10 წლის წინათ მიიღეს კანონებში მსგავსი ჩასწორებები, დიდი ჯანყი იყო, მაგრამ არავინ იცოდა, რომ ამას ერთსქესიანი ქორწინება მოჰყვებოდა, აქეთ მიდის ჩვენი საქმეც.“

ასავალ დასავალი 7-13 ივლისი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების - უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის

ადმასრულებელი საბჭო:

„საგანგებოდ აღვნიშნავთ „ასავალ-დასავალის“ აქტუალობას ჩვენი ტრადიციებისა და ზნეობრიობის სფეროში... აღნიშნული გაზეთი ერთადერთია საქართველოში, რომელიც ამხელს ამ ძალებს და ილაშქრებს სოდომ-გომორული ცოდვებისა და მათი შემსრულებლების წინააღმდეგ“...

PIA.GE, 17 ივლისი

ღავით ქვლივიძე,

დეკანოზი: "ყირიმში სახელმწიფოსავით [კაზანტიპი] აქვთ შექმნილი, შემოღობილი იყო დაახლოებით 17 ჰექტარი მიწა, იქ არის სახელმწიფოები, ჰყავთ მეფე, მღვდელი, მაგრამ იქ ხდება დედათმავლობა, მამათმავლობა, ხდება პატარა ბავშვების გარყვნა და ღმერთის გმობა.“

http://pia.ge/show_internet_daijest_news.php?id=5567&lang=geo

რეპორტიორი, 17 ივლისი

ლადო სადლოკელაშ-

ვილი, ენა, მამული, სარწმუნოება: "კაზანტიპი აერთიანებს ღრეობას, მამათმავლობას, ლეზბოსელობას, სექსუალურ ორგიებს, ნარკოტიკს რაც თავის მხრივ გარყვნილების პროპაგანდად ფასდება!!!"

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=33482&lang=1>

ასავალ დასავალი, 14-20 ივლისი

ზაზა ღავითია,

ჟურნალისტი: "ცირკის მიმდებარე ტერიტორია მთლიანად სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა მიერ არის მიტაცებული... რაც ყველაზე შემზარავია, კლიენტურაც არ აკლიათ. ღამღამობით, თავს იქაურობის ბატონ-პატრონად თვლიან ათასი რჯულის ლიბერასტული ორგანიზაციის თანადგომით გათამამებული პატიოსანი მოქალაქეების წინააღმდეგ უტიფარ შეტევაზე გადმოდიან.
...დამაფიქრებელია, რომ სექსუალურ უმცირესობათა თავგასულობა პიკს აღწევს. პანელზე მდგომი სხეულის გამყიდველების თავმოყვარეობაც, თურმე, იმ დონეზე განვითარებულა, რომ ფოტოგადაღებას შეურაცხყოფად თვლიან..."

კვირის ქრონიკა, 7-13 ივლისი

გელა ზედელაშვილი,

ჟურნალისტი: „თუ ხარ უჯიშო, თუ ხარ „ელგებეტეების“ უპირობო მხარდამჭერი და პედერასტებსაც თვალეზში შესცივინებ, ესე იგი, ხარ თანამედროვე და გზაც ხსნილი გაქვს, რომელ მთავრობასაც გინდა, იმას

გაგრძელება გვ. 10

სემსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

ემსახურები, თითოსაც ვერავინ დაგაკარებს.“

კვირის ქრონიკა,
7-13 ივლისი

გიორგი ჯიქიაშვილი,

ჟურნალისტი: „თვით ჰოლანდიაშიც კი, სადაც იმ ავადსახსენებელი „ელ-გე-ბე-ტე“ საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებების დაცვა უმაღლეს დონეზე ხორციელდება, რა დღეში არიან სადად მოაზროვნე ადამიანები... ღმერთმა ნუ ქნას, საქართველოში სოდომისტები ისე გააქტიურდნენ, რომ მრევლს სიწმინდების დაცვა უხდებოდეს მათი თავდასხმებისგან, მაგრამ რეალურად თუ

შევხედავთ ჩვენს გარშემო მიმდინარე პროცესებს, ეს დრო არც ისე შორსაა. პირიქით, საფრთხე უკვე კარს მოგვადგა და განსაცდელი გარდაუვალია.“

კვირის ქრონიკა,
14-20 ივლისი

გიორგი ჯიქიაშვილი,

ჟურნალისტი: „ჯერ სად ვართ, რეპრესიების მთავარ, ყოვლისწამლევავ ტალღას მაშინ ვიხილავთ, როცა ლიბერასტ-მესაჯდომეთა კასტა ყველაფერს მოიცავს და ქვეყანა მათი ნომრიანი აგენტებით გაივსება.“

ასავალ-დასავალი,
7-13 ივლისი

გიორგი გიგაური,
ჟურნალისტი: „იქ [ზურაბ ქარუმიძის ნაწარმოები] კი ისეთი რამეები ეწერა სვანებზე, მათ რიტუალებსა და ლამარიას ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში (!!!) ჩატარებულ მამათმავლელ სადო-მაზოხისტურ განცდებზე, რომ ეს ყველაფერი ერთად შევკრიბე და პირადად პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს მივმართე: ან ეს არარაობა, ანდა ქართველი ხალხი და ჩვენი სიწმინდეები-მეთქი!“

გენდერული თემატიკა

ასავალ-დასავალი, 7-13 ივლისი

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: "... ბერა ივანიშვილის ტელევიზია გადაქცეულა ოჯახის, დედ-მამის, ზოგადად ქართული ტრადიციებისა და სულიერების მაგინებელი საბარასტ-ლიბერასტების არენად!..

ლიბერასტები ბიძინა და ბერა ივანიშვილების მამა-შვილობას მათივე ტელევიზიიდან დასცინიან! ეს ნამდვილად იდეოლოგიური საბოტაჟია! ეს ნამდვილად სულიერი დივერსიაა!“

ასავალ-დასავალი, 14-20 ივლისი

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: "მართლაცდა, როგორ წარმოგიდგენიათ, ძვირფასო მკითხველო, ტელეკომპანია "GDS"-ის ეთერში ბიძინა ივანიშვილი გადაცემას წარუძღვეს და იმავე ტელევიზიაში ლიბერასტ-საბარასტებმა ქართული ცნობიერებისა და სულიერების შეურაცხყოფელი ცამპა-რუმპა მოაწყონ?!"

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: "ხსენებულ წერილში ასევე იმედი გამოვთქვი, რომ ბიძინა და ბერა ივანიშვილები ამ უმსგავსოებაზე სათანადო რეაგირებას მოახდენდნენ და თავიანთ ტელევიზიაში ტვინმოდრეცილი ლიბერასტების უზნყო პარპაშს აღკვეთდნენ."

არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება ტელეკომპანია GDS-ის სექსისტურ სიუჟეტთან დაკავშირებით

დასაწყისი გვ. 1

თანამედროვე საზოგადოებაში მედიას სოციალური ცვლილებების მხრივ უდიდესი პოტენციალი გააჩნია. მას შეუძლია როგორც დააჩქაროს, ასევე შეაფერხოს სტრუქტურული ცვლილებები გენდერული თანასწორობის მიმართულებით. იმ კულტურულ კონტექსტში, სადაც ქალები ხშირად საზოგადოებაში არსებული სექსისტური დამოკიდებულებების და სტერეოტიპების მსხვერპლნი არიან, ტელეკომპანიის მიერ ქალის ობიექტად წარმოჩენა, რაც ქალისა და მამაკაცის როლების ტრადიციულ აღქმას კიდევ უფრო ამძაფრებს, ყოვლად მიუღებელია.

ვთვლით, რომ იმ ტელეკომპანიისთვის, რომელსაც პრეტენზია არა ტაბლოიდურ ჟურნალისტიკაზე, არამედ მომავალში საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მომზადებაზე აქვს, სექსისტური შინაარსის ტირაჟირება, რომელიც ქალთა მიმართ უთანასწორობის გაღრმავებას უწყობს ხელს, მიუღებელი უნდა იყოს. ტელეკომპანია GDS-ის

მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება იმისდა მიხედვით ჩამოყალიბდება, თუ რამდენად ადეკვატურად გაიაზრებს სარედაქციო ჯგუფი მომხდარს და რამდენად აისახება საზოგადოების მხრიდან გადაცემის მიმართ გამოხატული კრიტიკა ტელეკომპანიის სამომავლო სარედაქციო პოლიტიკაზე. მედიის როლის თანამედროვე გაგება გაცილებით ფართოა, ვიდრე მისი, როგორც მარტოოდენ ბიზნეს პროექტად განხილვა. იმედს გამოვთქვამთ, რომ კომერციულ ინტერესზე მეტად, GDS მედიის საზოგადოებრივ პასუხისმგებლობაზე იქნება ორიენტირებული, რაც ყველა სოციალური ჯგუფის მიმართ ანგარიშვალდებულებას და მათი საჭიროებებისა და ინტერესების ასახვას გულისხმობს.

მედიის განვითარების ფონდი, MDF

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, GDI

მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის ინსტიტუტი, TDI

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, EMC

საფარი

მედია კლუბი "ფრონტლაინ ჯორჯია"

რუსუდან გოცირიძე, ბაკისტურ-ევანგელური ეკლესიის ეპისკოპოსი

საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია

ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო გენდერული სამართლიანობა

საზოგადოება პოზიტიური ცვლილებებისთვის

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

ფონდი "ტასო"

ქალთა ფონდი საქართველოში

ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი

გენდერული თანასწორობის ქსელი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია

ასოციაცია "ტოლერანტი"

სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში

საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტი, GIEV

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, PHP

სამოქალაქო განვითარების სააგენტო, CIDA

საქართველოს გერმანელთა ასოციაცია "აინუნგი"

საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრი

ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი

იდენტობა

ასოციაცია "ლგბტ საქართველო"

მონიტორინგის მთავარი მიზნები

დასაწყისი გვ.1

- ანტიდასავლური განწყობების გაღვივება უკავშირდებოდა არასამთავრობოების საქმიანობის კრიტიკას, სექსუალურ უმცირესობათა უფლებებს, ნაციონალური მოძრაობას, დასავლეთის როგორც მართლმადიდებლობასთან მებრძოლის წარმოჩენას. ამ თვალსაზრისით იმატა "ქართული ოცნების" კრიტიკამ, რომელსაც ნაციონალური მოძრაობის მსგავსად დასავლეთიდან მართულ ძალად წარმოაჩენდნენ;
- სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების არასწორ ინტერპრეტაციებს, ასევე ანაკლიაში დაგეგმილ "კაზანტიპის" ღონისძიებას უკავშირდებოდა;
- ტელეკომპანია GDS-ის ეთერში გასული გადაცემა, რომელიც ქალის და მამაკაცის როლის სექსისტურ ინტერპრეტაციებს შეიცავდა, მედიის ნაწილში ქართული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად იყო შეფასებული და არა გენდერული პრობლემატიკის კუთხით.